საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №62/18-2

მოსამართლე … მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

… (მხარე) 2018 წლის 22 თებერვლის №... საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქციით) შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე … მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 02 მაისის №62/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, ის 2008 წლიდან მუშაობდა … მთავარ ბუღალტრად. იმის გამო, რომ დამსაქმებელი არ უხდიდა მას კუთვნილ ხელფასს, … მიმართა სასამართლოს. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე …, რომელმაც გადაწყვეტილებაში შეგნებულად შეცვალა მოსარჩელის სამსახურში დანიშვნის თარიღი და მიიღო არასწორი გადაწყვეტილება. შემდგომ, მოსამართლე … (… სააპელაციო სასამართლოში) და … (საქართველოს უზენაეს სასამართლოში) ასევე მიიღეს უკანონო გადაწყვეტილებები და ძალაში დატოვეს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

… გაურკვეველი მიზეზის გამო, სარჩელი გაიყო ორად და გაყოფილი საქმე გადაეცა …. მანაც, ისევე როგორც სხვა მოსამართლეებმა, არ მიიღო ობიექტური გადაწყვეტილება. … საქალაქო

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა მოსამართლე …. საჩივრს ავტორის განმარტებით, … სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მას გასაჩივრებული აქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თუმცა, არ აქვს იმედი, რომ … სასამართლო მიიღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას.

2. საჩივრის (საჩივრების) საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

2.1. 2013 წლის 27 დეკემბერს … სარჩელით მიმართა … საქალაქო სასამართლოს … მიმართ და მოითხოვა, №... გრანტიდან 8000 ლარის, №... გრანტიდან 2500 ლარის და 2009-2011 წლების ევროგრანტიდან გამომდინარე 500 ევროს მოპასუხისათვის დაკისრება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ….

2016 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით … სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა (… მიერ) სააპელაციო წესით, თუმცა, … სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 04 ივლისის განჩინებით (თავმჯდომარე - …) აპელანტს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. 2017 წლის 04 აპრილის განჩინებით (თავმჯდომარე, მომხსენებელი - …) საჩივრის ავტორის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

2.2. 2014 წლის 18 დეკემბერს … სარჩელით მიმართა … საქალაქო სასამართლოს მოპასუხის, … … მიმართ და მოითხოვა, საქართველოს გრანტებიდან მისაღები სახელფასო დავალიანების, 23 000 ლარის და ევროგრანტიდან მისაღები სახელფასო დავალიანების, 7000 ევროს მოპასუხისათვის დაკისრება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ….

2015 წლის 26 ივნისის სხდომაზე, საოქმო განჩინებით, მოხდა მოპასუხის სახელწოდების დაზუსტება, … ნაცვლად მხარედ (მოპასუხედ) მითითებულ ….

2016 წლის 17 მაისის საოქმო განჩინებით, №.. და №... საქართველოს გრანტებიდან და №... ევროგრანტიდან მისაღები სახელფასო დავალიანების ნაწილში, სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული. 2008-2010 წლებში მისაღები სახელფასო დავალიანების და სხვა ევროგრანტების ფარგლებში მისაღები ანაზღაურების ნაწილში კი, 2017 წლის 28 თებერვლის განჩინებით, … უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2017 წლის 16 აგვისტოს 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა …. 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით (მოსამართლე …) არ დაკმაყოფილდა აპელანტის საჩივარი და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის შესაბამისი გადაწყვეტილება. უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 მარტის განჩინებით … საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებასთან დაკავშირებით განუხილველად იქნა დატოვებული (დარღვეული იყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების 21 დღიანი ვადა).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს."

იმავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოსთვის არანაირ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა." მოსამართლე მხოლოდ „შინაგანი რწმენით" აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოსაზრებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მის „შინაგან რწმენას", ასახავს გადაწყვეტილებაში.

ამდენად, მოსამართლე … შესაბამისი გადაწყვეტილების/განჩინების მიღებისას, მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე 14 წევრიდან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით) მიიჩნია, რომ მოსამართლე … მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №62-18-2, მოსამართლე … მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი